MES 9 23 0001576596

20/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლა:**
რევაზ ძირკვაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
2. **სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლა:**
თემურ შაინიძე - დირექტორი
3. **სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლა:**
ზვიად გიანაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
4. **სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა:**
გიორგი დავითაშვილი - დირექტორი
5. **სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯაროსკოლა:**
ნათელა ტაკიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
6. **სსიპ - კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის სა ჯარო სკოლა**
ნონა კვარაცხელია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
7. **სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლა**
მაია ჯიმშელეიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
8. **სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლა:**
ნინო ფაილოძე - დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლა:

ა) თეა გაბელაია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნინო უგრეხელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

დ) ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ე) ინგა გოგოლაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ქეთევანი ლარცულიანი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თ) ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ი) მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
კ) თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლა:
ა) მელანო ზოიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) მზია გელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ხათუნა ტოტოჩავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ანანო შანავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლა:

ა) ლია გრიგოლია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თამარ საჩანელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) რუსუდან უსტიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ანა ანუშიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნანა ყანჩაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ია სეხნიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნატო გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა:
ა) ლევან მადათოვი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:

ბ) ნანა ღაჭავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ეკა სიმსივე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ხათუნა წიკლაური - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნინელი ცერცვაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა:

ა) მედეა ქოქრაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თამარ ხუციშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ლელა ბუბაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლა

ა) როლანდ შავაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თალიკო ჯაყელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ფიქრია მუმლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მედიკო ჯიქია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნანა ნოზაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) მაკა ინაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლა

ა) ირმა ტატიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ინა ბიწაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნათია დარსაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) თეონა შუბლაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ხათუნა წიკლაური - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ინგა ხრიკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მარინე ჩახვაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ელისო ვადაქარია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლა
ა) ლელა ბუბაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) სოფიკო ბოქოლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მარინე ვაჩეიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ქეთევანი ლარცულიანი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე - 17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 06 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე- 20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
2. **სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
3. **სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
4. **სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
5. **სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
6. **სსიპ - კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხისმუნიციპალიტეტის ჯგალის თემისსაჯ არო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
7. **სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
8. **სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ხულოს

მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 40 მოსწავლეს, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა შუამდგომლობა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 70-მდე გაზრდასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 70 მოსწავლისთვის.

თეა გაბელაიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა სკოლის მიერ SWOT-ანალიზით წარმოდგენილი სუსტი მხარეებით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა აეხსნა, როგორ აპირებდა სკოლა მათ გაუმჯობესებას, კერძოდ, მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდას და მასწავლებელთა ტექნოლოგიურ საშუალებებთან დაახლოებას.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რევაზ ძირკვაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა ორივე მიმართულებით გეგმავდა მასწავლებელთა ტრენინგებსა და კომპეტენციის ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობდა, როგორც მოსწავლეთა მოზიდვას სხვა სოფლებიდან, ასევე მასწავლებლების ტექნოლოგიური უნარების განვითარებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რეკომენდაცია, სასკოლო საზოგადოებას გადაეხედა და შეესწორებინა წარმოდგენილი ხედვა, მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტები შეიცავდა რიგ ხარვეზებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა საგნობრივ ექსპერტებს სთხოვა საბჭოსთვის წარმოედგინათ მეტი დეტალი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკის კურიკულუმებთან დაკავშირებით

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, მაია ქევხიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა ლაბორატორია, თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მიუთითა დაწესებულებას შენობაში არსებულ კონკრეტულ ადგილზე, სადაც მიზანშეწონილი იქნებოდა, განთავსებულიყო ლაბორატორია. ასევე, სკოლამ მიმართა წერილით შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს აღჭურვილობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლას (ს/კ: 248053868) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიოკნისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიოკნისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიოკნისი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2. სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო ს კოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა თვითაცილება სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართებით, ვინაიდან საბჭოს წევრი ჩართული იყო სკოლის შიდა მხარდამჭერ ჯგუფში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მელანო ზოიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყინჩაურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
მელანო ზოიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და შედგა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა

ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეორე სტანდარტის მეტწილი შესაბამისობით შეფასება განაპირობა 2.2 კომპონენტის მეტწილად შეფასებამ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას, კერძოდ, თვითმართველობის ინიციატივითა და მასწავლებელთა მხარდაჭერით ჩართული იყო სხვადასხვა პროექტში: „გენდერული თანასწორობა“, „ტოლერანტობა თავისუფლების გარანტიაა“ და სხვა. სკოლის მხარდაჭერით, მოსწავლეებმა გაიმარჯვეს არაერთ პროექტში, მოიპოვეს გრანტი და სკოლის ეზოში დარგეს ნარგავები, ასევე პროექტით მოპოვებული გრანტით გააკეთეს ღია სცენა, რომლის რეაბილიტაცია მიმდინარეობდა იმ პერიოდისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა, გაიცა თუ არა ექსპერტების მხრიდან რეკომენდაციები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით, ვინაიდან წარმოდგენილი რუბრიკები არ იყო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა, ნადია დაბრუნდაშვილმა, განაცხადა, რომ ტექნოლოგიების მიმართულებით რუბრიკები არ იყო სრულყოფილი, თუმცა სხვა საგნებში წარმოდგენილი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისი შეფასების რუბრიკები. ამიტომ ექსპერტის განცხადებით, ადგილზე გაიცა რეკომენდაცია, რომ მასწავლებლებს გაეზიარებინათ და გაეთვალისწინებინათ კოლეგების გამოცდილება, რომლის მზაობაც მათ ნამდვილად ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა, მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის კურიკულუმებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ კათედრასთან გასაუბრება შედგა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, რის გამოც კურიკულუმების ნაწილი არ იყო დასრულებული, თუმცა მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მას შემდეგ, რაც სექტემბერში ცნობილი გახდებოდა გრიფირებული სახელმძღვანელოები, დაასრულებდნენ და სრულყოფდნენ კურიკულმებს. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულის თაობაზე სკოლას მიეცა რჩევა, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროდან, რომელშიც სკოლის მიმართ გაცემული იყო მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. საბჭოს წევრმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რა ღონისძიებები გაატარა სკოლამ დასკვნის მიღების შემდეგ.

სკოლის დირექტორმა, თემურ შაინიძემ აღნიშნა, რომ სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა პროცესები, კერძოდ, განხორციელდა წერილობითი მიმართვა შესაბამის ორგანოებთან და ელოდნენ რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლას(ს/კ: 248053895) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ყინჩაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ყინჩაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ყინჩაური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: - მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

3. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ზარიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის ს აკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეებში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 100 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ლია გრიგოლიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და შედგა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს საკმაოდ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ჰქონდა გაცემული რიგი საკითხების მიმართულებით. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, აპირებდნენ თუ არა არასავალდებულო ხასიათის რჩევების გათვალისწინებას.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ზვიად გიანაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლამ უკვე გაითვალისწინა რჩევების ნაწილი და მომავალშიც გეგმავდა მათ შესრულებას სკოლის განვითარების მიზნით.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, განხორციელდა თუ არა სკოლის მიერ ექიმის შერჩევა, რაზეც ზვიად გიანაშვილმა მიუგო, , რომ სკოლას ამ ეტაპზე ჰყავდა ექთანი, ხოლო რაც შეეხებოდა ექიმს, დაწესებულებამ უზრუნველყო ვაკანსიის გამოცხადება სამჯერ, თუმცა ვერ მოხდა შესაბამისი კადრის აყვანა.
მორის დანდურიშვილმა სკოლას მისცა რჩევები, რომლებიც ეხებოდა განცხადების ატვირთვისა და კონკურსის გამოცხადება/ჩატარების წესს. კერძოდ, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ განცხადება pedagogi.ge-თან ერთად უნდა ატვირთულიყო HR.ge-ზეც და საკონკურსო კომისიაში შემავალ წევრად, რომელიც შეარჩევდა ექიმის კანდიდატურას, უნდა განსაზღვრულიყო ასევე შესაბამისი დარგის ექსპერტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ზარიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ-თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ზარიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლას (ს/კ:

232387681) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზარიძები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზარიძები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზარიძები

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

4. სსიპ- თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ს აკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლევან მადათოვმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ- თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 ივლისს. სკოლა მდებარეობდა თიანეთის მუნიციპალიტეტ სოფელ ახალსოფელში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 100 მოსწავლეს, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
თეა გაბელაიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“ მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1, 3.3 და 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა მხოლოდ STEM-ლაბორატორია, თუმცა მასწავლებლები სხვა ონლაინ რესურსის დახმარებით აღწევდნენ მიზნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტების მიერ იყო გაცემული საკმაოდ მნიშვნელოვანი რჩევები კურიკულუმებთან დაკავშირებით. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა, დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო სკოლა კურიკულუმების სრულყოფის პროცესში.
სკოლის დირექტორმა, გიორგი დავითაშვილმა, განაცხადა, რომ მასწავლებლებმა ერთობლივად განიხილეს აღნიშნული რჩევები და დაიწყეს აქტიური მუშაობა მათი გათვალისწინების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საჭიროებდა სრულყოფას.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას (ს/კ: 232387672) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
3		საშუალო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.3; 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა. ასევე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ წარმოადგინოს 3.1 კომპონენტით გათვალისწინებული დოკუმენტები, კერძოდ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები და 1.2 კომპონენტით გათვალისწინებული 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

5. სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 800 მოსწავლე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

მედეა ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

თავად დავით მალაზონია დაინტერესდა, ხორციელდებოდა თუ არა თითოეული შემაჯამებელი დავალების შემდეგ მოსწავლეთა შედეგების ანალიზი.

სკოლის დირექტორმა, ნათელა ტაკიძემ, განმარტა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი მიმდინარეობდა სემესტრში ერთხელ, თუმცა მისი განმარტებით, სამომავლოდ იგეგმებოდა თითოეული შემაჯამებელი დავალების ანალიზი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას (ს/კ :246954407) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნებისა და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

6. სსიპ- კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის ექსპერტმა, როლანდ შავაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, მესამე სტანდარტი კი ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები: 3.4; 3.5 და 3.6 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

როლანდ შავაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

ვინაიდან სასწავლო პროცესი ორ შენობაში მიმდინარეობდა, საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა, როგორ ტარდებოდა კათედრის სხდომები და ვლინდებოდა საერთო საჭიროებები.

ექსპერტმა, როლანდ შავაძემ, განმარტა, რომ აღნიშნულ შენობებს შორის მანძილი არ იყო მნიშვნელოვნად დიდი, აქედან გამომდინარე, მოცემული გარემოება არიყო ხელისშემშლელი ფაქტორი კათედრის სხდომის წარმატებით ჩატარებისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნონა კვარაცხელიამ დაამატა, რომ მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიდნენ მეორე კორპუსში, ასევე ასწავლიდნენ ძირითად კორპუსშიც, შესაბამისად, თანამშრომელთა კომუნიკაცია ხორციელდებოდა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის მომხრე - 11	**შედეგები: 11**

წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა, სსიპ - კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, მის მიერ მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ- კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლას (ს/კ : 242735876) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხა, ჯგალის თემი, პირველი ქ. 1 ჯგალის თემი, კანთის მე-11 ქ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხა, ჯგალის თემი, პირველი ქ. 1 ჯგალის თემი, კანთის მე-11 ქ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხა, ჯგალის თემი, პირველი ქ. 1 ჯგალის თემი, კანთის მე-11 ქ

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.ასევე ლაბორატორიების აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

7. სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ლანჩხუთში, მუსხელიშვილის N9/11-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 500 მოსწავლე. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 350 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ირმა ტატიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ირმა ტატიშვილმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კარგი გამოცდილება არაფორმალური განათლების მიმართულებით. სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტები და აქტივობები. ექსპერტის განცხადებით, სკოლასთან აქტიურად თანამშრომლობდენ სკოლის კურსდამთავრებულები.

დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, რა პერიოდში და რომელი ორგანიზაციის მიერ იყო შენობა რეაბილიტირებული. ირმა ტატიშვილმა განმარტა, რომ შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2021 წელს, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ეკატერინე კვირიკაშვილის თქმით, მუნიციპალური ფონდის მიერ რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობები არ საჭიროებდნენ დამატებით დოკუმენტაციას შენობის მდგრადობის შესახებ, რადგან პროცესში ხორციელდებოდა საფუძვლიანი კვლევა და სკოლებს აწვდიდნენ შენობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიშს.

ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ ხდებოდა სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სასკოლო ფორმებით უზრუნველყოფა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ჯიმშელეიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან განხორციელდა სპონსორის მოძიება და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სასკოლო ფორმებით უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლას (ს/კ : 233646178) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ლანჩხუთი, მუსხელიშვილის N9/11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ლანჩხუთი, მუსხელიშვილის N9/11
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ლანჩხუთი, მუსხელიშვილის N9/11

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული გეგმის წარმოდგენა.

8. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 01 და 02 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვაბღაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 112 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო კომპონენტები 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ლელა ბუბაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ლელა ბუბაშვილის თქმით, სკოლის მხრიდან გარკვეული პერიოდით ადრე ხდებოდა სკოლაში ჩასარიცხი სავარაუდო მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის მოძიება, როგორც სოფელ ქვაბღაში, ისე მეზობელ სოფლებში. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლა იწყებდა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას და წინასწარ მომზადებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლის დირექტორმა, ნინო ფაილოძემ აღნიშნა, რომ სკოლას სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან მიღებული ჰქონდა შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. ასევე, შეთანხმებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.რაც შეეხება შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან. ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იგეგმებოდა სამასწავლებლოსა და კომპიუტერების ოთახის პირველ სართულზე ჩამოტანა. ასევე სკოლა გეგმავდა დამატებითი მოძრავი პანდუსის შეძენას, რომელსაც გამოიყენებდნენ საჭიროებისამებრ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, განახორციელა თუ არა სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმით გათვალისწინებული რომელიმე ღონისძიება. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა ახლა გეგმავდა აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 112 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლას (ს/კ : 242007582) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 112 - ით.დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა ჩოხატაური, სოფელი ქვაბღა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა ჩოხატაური, სოფელი ქვაბღა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა ჩოხატაური, სოფელი ქვაბღა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა